ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანზორ დავარაშვილი

ნეირონული ქსელის იმპლემენტაცია და მისი საშუალებით მკერდის სიმსივნის აღმოჩენა

სამაგისტრო პროგრამა: კომპიუტერული მეცნიერება

ნაშრომი შესრულებულია კომპიუტერული მეცნიერების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: რევაზ ქურდიანი

თბილისი 2018

ანოტაცია

ხელოვნური ინტელექტი აქტიურად ცვლის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას.ის ფართოდ გამოიყენება ბიზნესში.მეცნიერებაში,მედიცინაში,განათლებასა და სხვა სფეროებში.მისი მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდება. ამ ნაშრომში შევეხები ხელოვნური ინტელექტის ერთერთ ყველაზე საინტერესო და პოპულარულ მიმართულებას: **ხელოვნურ ნეირონულ ქსელებს.**

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ნეირონული ქსელის იმპლემენტაციის დეტალები, ნეირონული ქსელის კონცეფციები და ნეირონის ძირითადი სტრუქტურები, აქტივაციის ფუნქციები, წონა, და დასწავლის ალგორითმები. გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია საბაზისო ნეირონული ქსელის შექმნის პროცესი Java ენის გამოყენებით დასაწყისიდან დასრულებამდე.

ნაშრომში განიხილება ნეირონული ქსელების დასწავლის პროცესის დეტალები. წარმოდგენილი იქნება სასარგებლო ცნებები, როგორიცაა დასწავლა, ტესტირება და ვალიდაცია.ვაჩვენებ როგორ შეიძლება განახორციელდეს დასწავლის და ვალიდაციის ალგორითმები. ასევე განვიხილავთ ცდომილების შეფასების მეთოდებს.

ასევე შევეხებით პერცეპტონებს, დამკვირვებლიან სწავლას და მათ ძირითად თვისებებს, თქვენ გაეცანით პერცეპტონებს და ზედამხედველობითი სწავლების თვისებებს. წარმოგიდგენთ დასწავლის ალგორითმს ამ ტიპის ნეირონულ ქსელებში.

მკითხველი შეისწავლის, თუ როგორ უნდა განახორციელონ ეს ფუნქციები Java- ში.
ისინი ასევე შეისწავლიან, თუ როგორ უნდა დაამუშაონ მონაცემები მათი ნეირონული ქსელისთვის მიწოდებამდე.
და ბოლოს წარმოვადგენ ამ ქსელის პრაქტიკული გამოყენების მაგალითს.განხილული იქნება კლასიფიკაციის ამოცანა,რომელიც არის დამკვირვებლიანი სწავლების მაგალითი.ქსელის საშუალებით ვახდენთ დაავადებათა დიაგნოსტირებას,
პაციენტის ჩანაწერების მონაცემების გამოყენებით, ნეირონული ქსელი აგებულია როგორც საექსპერტო სისტემას, რომესაც შეუძლია დასვას მკერდის სიმსივნის დიაგნოზი პაციენტების სიმპტომებიდან გამომდინარე.

Abstract

Artificial intelligence is changing how we conduct our daily lives.It's widely ised in bussiness,science,educations,medicine and etc.It's gaining more and more popularity every day.
In theis thesis I'll discuss on of the most popular and interesting field of AI : **Neural Networks**.

The thesis introduces neural networks concepts and shows the very basic neuron structures (Single Layer Perceptrons, Adaline), activation functions, weights,
and learning algorithms. Besides, this work shows the process of creating basic neural networks in Java from start to finish.

The thesis presents the details of the neural network learning process. Useful concepts, such as training, test, and validation are introduced. We show how to implement training and validation algorithms. This work also shows methods for error evaluation.
I'll discuss Perceptrons and Supervised Learning, you will get acquainted with perceptrons and the supervised learning features. I present training algorithms for these types of Neural Network. The reader will learn how to implement these features in Java.They also learn how to apply preprocessing before presenting data to neural networks.

And lastly I'll introduce a classification problem, which is also
encompassed in supervised learning. Using patient records data, a neural network is built to act as an expert system, being capable of giving a breast cancer diagnosis based on patients, symptoms.

სარჩევი

შესავალი

ხელოვნური ინტელექტის სისტემები განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ბოლო დროს. შეიქმნა რამდენიმე ძალიან პოპულარული ციფრული ასისტენტი: Google Assitant, Siri, Cortana, Alexa. მათ შეუძლიათ ახალი ამბების წაკითხვა, ფოსტის შემოწმება, საოჯახო აპარატურის (ტელევიზორის, კონდენციონერის, ჟალუზების...) მართვა.. ასისტენტების შესაძლებლობები სულ უფრო იზრდება და მალე საოცრად მრავალმხრივი დამხმარეები, და შეიძლება მეგობრებიც, გვეყოლება. უკვე არსებობს მარტოხელა მოხუცთა დამხმარეები, რომელთაც შეუძლიათ წამლის დალევის შეხსენება, წნევის გაზომვაში დახმარება და, საჭიროების შემთხვევაში, სასწრაფოს გამოძახებაც. ელექტრონული მიმტანები მოგემსახურებათ კაფეებში, კონსულტაციას გაგიწევთ ბანკებში იპოთეკური სესხისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ. გამოჩდნენ თვითმავალი ავტომობილებიც. ისინი გაცილებით უსაფრთხოდ მოძრაობენ ვიდრე ამას ადამიანები ვახერხებთ. მომავალში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადამიანის საჭესთან დაჯდომა საერთოდ აღარ იქნება საჭირო. ხელოვნური ინტელექტის ასეთი ნახტომისებური განვითარება არის „ნეირონული ქსელების“ მძლავრი მოდელების შექმნის დამსახურება. ხელოვნურ ნეირონულ ქსელებზე დაფუძნებული ტექნოლოგიებით გახდა შესაძლებელი ბიონიკური თვალის და კიდურების პროთეზების დამზადება. ხელოვნურად დამზადებული ბიონიკური თვალით ადამიანი ხედავს, ხოლო თანამედროვე პროთეზები იმდენად სრულყოფილია, რომ მათ ადამიანი თითქმის საკუთარი სხეულის ნაწილად აღიქვამს, გრძნობს შეხებას, ტემპერატურას, ტკივილსაც კი.კიდევ მრავალი სფეროს ჩამოთვლა შეიძლება, სადაც პროგრესის მამოძრავებელი გახდა ხელოვნური ნეირონული ქსელი. მიმდინარე ნაშრომი ხელოვნურ ნეირონულ ქსელებს და მედიცინაში,კერძოდ დაავადებათა დიაგნოსტირებაში მის პრაქტიკულ გამოყენებას ეძღვნება. განხილულია ნეირონული ქსელი და მისი იმპლემენტაციის დეტალები კოდის ფრაგმენტებთან ერთად.გარჩეულია მათი სწავლების მეთოდები . ნაშრომი მაქსიმალურად სრულად წარმოგვიდგენს ხელოვნური ინტელექტის ლამაზ სამყაროს და მასში ნეირონული ქსელების გამორჩეულ როლს ცხადად დაგვანახებს.

თავი 1. ნეირონი და ნეირონული ქსელი

კომპიუტერის გამოგონებამ ადამიანის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. რიცხვებზე ოპერაციების გარდა, კომპიუტერმა სწრაფად შეითავსა თითქმის ყველა სფეროსთვის საჭირო ფუნქცია. კომპიუტერის სწრაფქმედების გაზრდამ ადამიანს იმდენად მძლავრი ხელსაწყო მოუვლინა მოულოდნელად, რომ მისი რესურსის სრულად გამოყენებისთვის ახლებური ალგორითმების მოფიქრება დღემდე გრძელდება.

მრავალი გამოწვევა არსებობდა კომპიუტერების შემოღების დღიდან საინფორმაციო ტექნოლოგიებში. ერთ-ერთ მიუღწეველ მიზანს გამოსახულების ამოცნობა წარმოადგენდა. ვერ ხერხდებოდა ელემენტარული ობიექტების ამოცნობაც კი. ამ ამოცანას თუ ძველებური მიდგომით განვიხილავთ, უნდა მოვახდინოთ ამოსაცნობი ობიექტის ზუსტი აღწერა და ამ გზით შევეცადოთ მის მოძიებას. ზუსტი აღწერის შედგენა არ არის მარტივი. ვთქვათ, გვინდა მანქანის აღწერის შედგენა. მანქანა ბევრნაირი არსებობს და ყოველი ახალი სურათი შეიძლება რადიკალურად განსხვავდებოდეს წინასგან.მიუხედავად ასეთი რთული ამოცანისა, ადამიანი ადვილად ახერხებს ამოცნობას პრაქტიკულად ნებისმიერ სურათზე, მათ შორის სქემატურ ნახატებზეც კი, რომლის მსგავსი მანქანაც ბუნებაში საერთოდ არ მოიძებნება.ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ახლებური მიდგომების შემუშავება იყო აუცილებელი.

ახალი ალგორითმების შესამუშავებლად ადამიანებმა ისევ დედა ბუნებას მიმართეს. გადაწყვიტეს, გამოეკვლიათ ტვინის მუშაობა და მისი მსგავსი მეთოდებით ეწარმოებინათ ამოცნობა. ადამიანის ტვინი, ერთ-ერთ ურთულეს მექანიზმს წარმოადგენს, სწორედ მისი საშუალებით მივაღწიეთ განვითარების ასეთ მაღალ დონეს და, ცხადია, ინფორმაციის დამუშავების ამოცანებში, მისი ფუნქციონირების გამოყენება დიდი გარღვევის საწინდარი უნდა გამხდარიყო.ასეც მოხდა, ადამიანის ტვინის სტრუქტურის მსგავსი მოწყობილობების გამოჩენამ ტექნიკური პროგრესი ახალ საფეხურზე აიყვანა.

ცნობილია, რომ ადამიანის ტვინი შედგება სპეციფიკური ტიპის უჯრედებისგან - ნეირონებისგან. ნეირონები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. გარკვეულწილად გამოკვლეულია უჯრედებს შორის კავშირის მექანიზმიც. საოცარია, მაგრამ თითქმის იდენტური უჯრედების ნაკრები ახერხებს ანალიტიკურ აზროვნებას და აფორმირებს მეხსიერებასაც. ინფორმაცია ნეირონებს გადაეცემა გარე რეცეპტორებიდან (გრძნობის ორგანოებიდან: სმენა, მხედველობა, ყნოსვა, გემო, ვესტიბულარული აპარატი, ...) და სხვა ნეირონებიდან. ნეირონების მიერ დამუშავებული სიგნალების მიხედვით ხდება ადამიანის აქტივობა .

ძალიან საინტერესო იქნება თუ დავამზადებთ ტვინის ელექტრონულ მოდელს და მისი საშუალებით ვცდით აზროვნებისთვის დამახასიათებელი თვისებების მოდელირებას.სწორედ ასეთი მოდელების შესწავლის კვალობაზე ჩამოყალიბდა მეცნიერების მიმართულება - ნეირონული ქსელები. მიღებულია პრაქტიკული შედეგებიც - ნეირონული ქსელების ბაზაზე აგებული მოწყობილობები უკვე ფართოდ ინერგება ყოფა-ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ადამიანის აზროვნებასთან მიახლოება, ამ სისტემების მიერ, ჯერ ადრეულ სტადიაზეა.

1.1 ბუნებრივი ნეირონი და ნეირონული ქსელი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბუნებრივი ნეირონი არის ტვინის უჯრედი. ნეირონს სხვა ნეირონებთან აქვს კავშირი. ტვინის ფუნქციონირებისას ერთი ნეირონიდან მეორეს გარკვეული სიგნალები გადაეცემა.ნეირონს აქვს მრავალი არხი, საიდანაც სხვა ნეირონების სიგნალებს იღებს და აქვს ერთი არხი, საიდანაც საკუთარ სიგნალს გადასცემს სხვებს.ნეირონები წარმოადგენს არა მხოლოდ აზროვნების საშუალებას - ადამიანის მეხსიერებასაც.ადამიანის ტვინი 100 მილიარდამდე ნეირონისგან შედგება. ნეირონებს შორის დაახლოებით 60 ტრილიონი კავშირია.დენდრიტების საშუალებით ნეირონში შედის სიგნალები, ხოლო აქსონის საშუალებით ნეირონიდან გამომავალი სიგნალი სხვა ნეირონებს მიეწოდება. სიგნალების გაცვლა-გამოცვლა ელექტროქიმიური ფორმით ხდება. დამუხტული იონები დამაკავშირებელ არხებში გადაადგილდებიან და ნეირონის ბირთვში ხვდებიან. თუ ბირთვში სხვადასხვა დენდრიტიდან მოხვედრილი იონების ჯამური მუხტი გარკვეულ ზღვარს გადააჭარბებს, დამუხტული იონები ზვავისებურად გამოიტყორცნება ნეირონის აქსონიდან და სხვა ნეირონებს გადაეცემა. ნეირონის ფუნქციონირების ეს სქემა გამოყენებული საინფორმაციო ტექნოლოგიებში ხელოვნური ნეირონული ქსელების დამზადებისას.



სურათი 1.ბუნებრივი ნეირონი

საოცარია, რომ ასეთი ერთნაირი და მარტივი კომპონენტებისგან შედგება ჩვენი ტვინი. მაღალინტელექტუალური ქმედებების შესაძლებლობას, სწორედ, ეს ერთი შეხედვით მარტივი, მოწყობილობა იძლევა.

ტვინში გარე სენსორებიდან შედის სიგნალები, ეს სიგნალები თავის ტვინის ნეირონებს მიეწოდება. ნეირონებში გარედან შემოსული სიგნალები გადამუშავდება. საბოლოოდ, ნეირონების მიერ ფორმირებული სიგნალი ნერვული დაბოლოებებით გადაეცემა სხეულის სხვადასხვა ორგანოს კონკრეტული მოქმედებების განსახორციელებლად.

ადამიანის სხეული არის დაქსელილი ნერვული არხებით. ზოგიერთი არხით თავის ტვინის ნეირონები იღებენ გარედან შემოსულ ინფორმაციას, ხოლო ზოგი სხეულის მოქმედების განსახორციელებლად არის განკუთვნილი.

ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ადამიანი არის ძალიან აკურატულად აწყობილი მექანიზმი. ნეიროქირურგებს შეუძლიათ ნერვული დაბოლოებების მიერთება ელექტრულ აპარატურასთან, რაც ხელოვნური პროთეზების დამზადების საშუალებას იძლევა. ასეთი პროთეზი ბუნებრივი კიდურის მსგავსად იმართება ადამიანის ტვინის მიერ და, შესაბამისი სენსორების არსებობის შემთხვევაში, ტვინს კიდურიდან შეგრძნებებიც ეგზავნება.


სურათი 2 ნეირონული ქსელი

თავის ტვინის მიერ ინფორმაციის გადამუშავების და სიგნალების ფორმირების პროცესში ძალიან ბევრი ნეირონი მონაწილეობს. ასევე მრავალი ნეირონია ჩართული ინფორმაციის შენახვის პროცესშიც. რამდენიმე ნეირონის მწყობრიდან გამოსვლა აზროვნების პროცესს არ უშლის ხელს, არც მეხსიერების დაკარგვას იწვევს.ზემოთ აღწერილი სქემა ბუნებრივად გვიბიძგებს საინტერესო შეკითხვებზე პასუხის ძიებისკენ.

1.1 ხელოვნური ნეირონი და მისი ისტორია

ხელოვნური ნეირონი არის ბუნებრივი ნეირონის მსგავსი მოწყობილობა. ასეთ მოწყობილობებს ერთმანეთთან აერთებენ და იღებენ ხელოვნურ ნეირონულ ქსელს. სხვადასხვა ტიპის ნეირონულ ქსელებს სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანის გადასაწყვეტად იყენებენ.როგორც წინა თავში აღვწერეთ, ბუნებრივ ნეირონს დენდრიტების საშუალებით მიეწოდება დამუხტული იონები. დამუხტული იონები ნეირონის ბირთვში იყრის თავს, თუმცა აქსონის საშუალებით მომენტალურად არ ხდება მათი გამოსვლა ნეირონიდან. აქსონში იონების გამოტყორცნა მოხდება ერთბაშად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნეირონში არსებული ჯამური მუხტი გარკვეულ ზღვარს გადააჭარბებს.

1940-იან წლებში ნეიროფიზიოლოგმა უორენ მაკკოლოკმა და მათემატიკოსი ვალტერ პიტსმა შექმნდეს ხელოვნური ნეირონის პირველი მათემატიკური იმპლემენტაცია, რომელიც აერთიანებს ნეირომეცნიერების საფუძვლებს მათემატიკურ ოპერაციებთან ერთად. იმ დროს, ადამიანის ტვინი სწავლობდა აქტიურად,რათა გაეგოთ მისი ფარული და საიდუმლო ქცევები, ჯერ კიდევ ნეირომეცნიერების სფეროში.იმ დროისთვის ცნობილი იყო ბუნებრივი ნეირონის სტრუქტურა და მისი მუშაობის პრინციპი,რომ ის იღებს შემომავალ სიგნალებს სხვა ნეირონებისგან და აქსონი ახდენს სიგნალის გააქტიურებას სხვა ნეირონებზე,როგორც ნაჩვენებია სურათ 1-ზე.

შევქმნათ ბუნებრივი ნეირონის მათემატიკური მოდელი, ანუ ხელოვნური ნეირონი, რომელსაც ექნება ბუნებრივს მსგავსი მექანიზმი.

მაკკოლოკმა და პიტსმა შემოგვთვაზეს ხელოვნური ნეირონის (შემდგომში მას უბრალოდ ნეირონს ვუწოდებთ) მათემატიკური კომპონენტი.ნეირონი ეს არის არის მოწყობილობა(პროცესორი), რომელსაც აქვს რამდენიმე შესასვლელი და ერთი გამოსასვლელი. შესასვლელზე მოდებული სიგნალები ნეირონის მიერ გადამუშავდება და გამოსასვლელზე აღიძვრება გამომავალი სიგნალი:



სურათი 3. ნეირონის მოდელი

უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ტვინი შედგება მილიარდობით ნეირონისგან, თითოეული მათგანი ურთიერთდაკავშირებულია კიდევ რამდენიმე ათეულ ათას ნეირონთნ, რის შედეგადაც გვაქვს რამდენიმე ტრილიონი კავშირი, ჩვენ ვსაუბრობთ გიგანტური ქსელის სტრუქტურაზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაკკოლოგმა და პიტსმა შექმნეს ნეირონის მარტივი მოდელი ,რომელიც თავდაპირველად ადამიანის ხედვის სიმულაცია ახდენდა. იმ დროისათვის არსებული კალკულატორები ან კომპიუტერები ძალიან იშვიათი იყო, მაგრამ მათ საკმაოდ კარგად შეეძლოთ მათემატიკური ოპერაციების ჩატარება; მეორეს მხრივ, დღევანდელი ამოცანებიც კი, როგორიცაა გამოსახულებისა და ხმის ამოცნობა ადვილი არ არის სპეციალური ფრეიმვორკების გარეშე საპირისპიროდ მათემატიკურ ოპერაციებისა. მიუხედავად ამისა, ადამიანის ტვინის შეუძლია შეასრულოს ხმის და გამოსახულების დამუშავება უფრო ეფექტურად, ვიდრე რთული მათემატიკური

გამოთვლები, და ეს ფაქტი დღესაც აინტრიგებს მეცნიერებსა და მკვლევარებს.თუმცა, ერთ-ერთი ცნობილი ფაქტია, რომ ყველა კომპლექსური საქმიანობა, რომელსაც ადამიანის ტვინი ეფუძნება,დაფუძნებულია ცოდნაზე, ANN არის შექმნილი იმისათვის რათა გადაწყვიტოს ზოგიერთი ამოცანა თვითონ, მონაცემების საფუძველზე:

ამოცანები, რომლებსაც ადვილად წყვიტავს ადამიანის ტვინი	ამოცანები ,რომლებსაც ადვილად წყვიტავს კომპიუტერი
სურათების კლასიფიკაცია	რთული გამოთვლები
ხმის ამოცნობა	სიგნალების დამუშავება
სახის იდენტიფიკაცია	ოპერაციული სისტემის მართვა
ცოდნაზე დაფუძნებით მოვლენების პროგნოზი	გრამატიკული შეცდომების გასწორება

1.2 ხელოვნური ნეირონის სტრუქტურა

მოდით უფრო დეტალურად განვიხილოდ პრაქტიკულად როგორ მუშაობს ხელოვნური ნეირონი.ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ ნეირონზე, რომელიც შედგება სიგნალის კოლექტორისგან და აქტივაციის ერთეულისგან, რომელმაც შეიძლება მოგვცეს სიგნალი, რომელიც გადაგზავნილი იქნება სხვა ნეირონებისათვის. სიგნალის გასროლის ფუნქცია განხორციელებულია აქტივაციის ფუნქციის მიერ.ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ხელოვნური ნეირონის სტრუქტურა, როგორც ნაჩვენებია შემდეგი სურათზე:



სურათი 4.ხელოვნური ნეირონი

განვიხილოთ ნეირონის შემადგენელი კომპონენტები.პირველი ასეთი არის **აქტივაციის ფუნქცია**.აქტივაციის ფუნქცია არის ის, რაც გვაძლევს ნეირონის გამომავალ სიგნალს ყველა შემომავალი სიგნალის ჯამიდან გამომდინარე. მათემატიკურად იგი სძენს არაწრფივობას ნეირონულ ქსელს ,რაც ძალიან სასარგებლო იქნება ბუნებრივი ნეირონის არაწრფივი ბუნების სიმულაციისთვის. აქტივაციის ფუნქცია, როგორც წესი, ორ მნიშვნელობას შორისა გვაძლევს მნიშვნელობებს .ზოგიერთ შემთხვევაში აქტივაციის ფუნქცია შესაძლოა, წრფივიც იყოს.ოთხი ყველაზე გავრცელებული აქტივაციის ფუნქცია არის შემდეგი:

- Sigmoid(სიგმოიდი)
- Hyperbolic tangent(ჰიპერბოლური ტანგენსი)
- Hard limiting threshold
- Purely linear(წრფივი)

შემდეგ ცხრილში მოცემულია ამ ფუნქციების ფორმულები და გრაფიკები:

Function	Equation	Chart
Sigmoid	$f(x) = \frac{1}{1+e^{-x}}$	
Hyperbolic tangent	$f(x) = \frac{1-e^{-x}}{1+e^{-x}}$	
Hard limiting threshold	$f(x) = \begin{cases} 0 & if\ x < 0 \\ 1 & if\ x \geq 1 \end{cases}$	
Linear	$f(x) = x$	

სურათი 5.ძირითადი აქტივაციის ფუნქციები

მიუხედავად იმისა, რომ ნერვული ქსელის სტრუქტურა შეიძლება ფიქსირებული იწოს, **წონა** წარმოადგენს ნეირონებს შორის კავშირებს და მათ აქვთ უნარი გააძლიერონ ან შეასუსტონ შემომავალი ნეირონული სიგნალები, ანუ ახდენენ მათ მოდიფიცირებას და გავლენა აქვთ ნეირონის გამოსავალზე. ამიტომ ნეირონის აქტივაცია არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ შემომავალ სიგნალზე არამედ, წონებზეც. იმ პირობით, რომ სიგნალი მოდის სხვა ნეირონებისგან ან გარე სამყაროსგან წონა ითვლება ნეირონულ ქსელში ნეირონებს შორის კავშირები. მას შემდეგ, რადგან წონა არის ნერვული ქსელის შიდა კომპონენტი და გავლენას ახდენს მისი გამოსავალზე, ისინი შეიძლება ჩაითვალოს როგორც ნეირონული ქსელის ცოდნა.ანი იმ წონების შეცვლით შეცვლება ნეირონული ქსელის შედეგებიც, ანუ ის პასუხობს გარესამყაროს სტიმულებზე.

დამატებითი პარამეტრი- **ბიასი**.ხელოვნური ნეირონისთვის სასარგებლოა დამოუკიდებელი კომპონენტის არსებობა, რომელიც დამატებით სიგნალს ანიჭებს აქტივაციის ფუნქციას: მას ეწოდება ბიასი. ეს პარამეტრი მოქმედებს, როგორც როგორც ჩვეულებრივი შემავალი მონაცემი,მაგრამ, ის სტიმულირებულია ერთი ფიქსირებული მნიშვნელობით (ჩვეულებრივ 1), რომელიც გამრავლებულია მასთან ასოცირებული წონაზე. ეს ფუნქცია ეხმარება ნეირონული ქსელის ცოდნის წარმოსადგენად, როგორც უფრო წმინდა არაწრფივი სისტემა, იმ პირობით, რომ როდესაც ყველა შემავალი არის ნულოვანი, ნეირონი

აუცილებლად არ გამოიტანს ნულს გამომავალზე,ამის ნაცვლად მან შეიძლება მოგვცეს განსხვავებული მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია ბიასის შესაბამის წონასთან.

ბუნებრივი ნეირონები განლაგებულია **ფენებში(შრეებში),** თითოეული მათგანი უზრუნველყოფს სპეციფიკური დონის დამუშავებას; მაგალითად, შეყვანის ფენა იღებს პირდაპირ სტიმულს გარე სამყაროდან და გამომშვები შრეს გამოაქვს შედეგი,რომელსაც გავლენა აქვს გარე სამყაროზე. ამ ფენებს შორის არსებობს მთელი რიგი ფარული ფენები,ფარული იმ გაგებით, რომ მათ პირდაპირი კავშირი არ აქვთ გარე სამყაროსთან. ხელოვნურ ნეირონულ ქსელებში,ერთ შრეში განლაგებულ ყველა ნეირონს აქვთ ერთნაირი შემავალი მონაცემები და აქტივაციის ფუნქცია,როგორც ნაჩვენებია შემდეგ სურათზე:



სურათი 6.ნეირონული ქსელის შრეები

ნეირონული ქსელები შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე დაკავშირებული შრისაგან, რომლებიც ქმნიან ე.წ.მრავალშრიან ქსელებს. ნეირონული შრეები შეიძლება დაიყოს სამ კლასად:

- **შემავალი შრე-input layer**
- **ფარული შრე-hidden layer**
- **გამომავალი შრე-output layer**

პრაქტიკაში დამატებითი შრე აძლევს ქსელს საშუალებას წარმოადგინოს უფრო რთული ცოდნა.ყველა ნეირონულ ქსელს აქვს მინიმუმ შემავალი / გამომავალი შრე მიუხედავად შრეების რაოდენობისა. მრავალშრიანი ქსელის შემთხვევაში, შემავალ და გამომავალ შრეებს შორის არსებულ შრეებს **ფარული** შრეები ეწოდება.

1.2 ნეირონული ქსელების არქიტექტურა

სხვადასხვა ნეირონულ ქსელს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული არქიტექტურა, რაც დამოკიდებულია ნეირონების და შრეების კავშირის ტიპზე. თითოეული ნეირონული ქსელის არქიტექტურა განკუთვნილია კონკრეტული მიზნისთვის. ნეირონულ ქსელები შეიძლება იყოს მიმართული რიგი პრობლემების გადასაჭრელად, და პრობლემის ბუნებიდან გამომდინარე , ნეირონული ქსელი შეიძლება იყოს დაპროექტებული ამ პრობლემის უფრო ეფექტურად გადასაჭრელად. ნეირონული ქსელის არქიტექტურის ორ ძირითადი ტიპი არსებობს:

- **Neuron connections(ნეირონული კავშირების მიხედვით)**

- Monolayer networks(ერთშრიანი ქსელები)
- Multilayer networks(მრავალშრიანი ქსელები)
  - **Signal flow (სიგნალის მოძრაობის მიხედვით)**
- Feedforward networks
- Feedback networks

მოკლედ შევეხოთ თითოეულ მათგანს:

ერთშრიანი ქსელები : ამ არქიტექტურაში ყველა ნეირონი მოთავსებულია ერთსა და იმავე დონეზე, რომელიც ქმნის ერთ შრეს:ნეირონული ქსელი იღებს შემავალ სიგნალებს და აწოდებს მათ ნეირონებში, რომლებიც თავის მხრივ ითვლიან გამომავალი სიგნალენს. ნეირონები შეიძლება მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ერთმანეთთან ან რეკურენტულად ან მის გარეშე.ამ არქიტექტურის მაგალითები არის ერთი შრიანი პერცეპტონი, ადალაინი, თვითორგანიზებადი რუკა, ელმანის ,და ჰოპფილდის ნეირონულიქსელები.



სურათი 7.ერთშრიანი ქსელი

მრავალშრიანი ქსელები: ამ კატეგორიაში ნეირონები განთავსებულია მრავალრიცხოვან შრეებში, თითოეული შრე, რომელსაც შეესაბამება პარალელურად ნეირონების განლაგება, იზიარებს ერთსა იმავე შემავალ მონაცემებს, როგორც ნაჩვენებია სურათი 6-ზე.რადიალური ბაზის ფუნქციები და მრავალშრიანი პერცეპტონი კარგი მაგალითებია ამ არქიტექტურაში. ასეთი ქსელები მართლაც სასარგებლოა რეალური მონაცემების იმ ფუნქციებთან მიახლოების მიზნით, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი ამ ინფორმაციის წარმოსადგენად.უფრო მეტიც, რადგან მათ აქვთ დამუშავების მრავალი შრე, ეს ქსელები ადაპტირებულია ისწავლოს არაწრფივი მონაცემები, მას შეუძლია გამოყოფა ან უფრო მარტივად ცოდნის განსაზღვ რომელიც შექმნის ან აღიქვამს მონაცემებს.

პირდაპირი გავრცელების ქსელი: ნეირონულ ქსელში სიგნალის ნაკადი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი მიმართულებით ან რეკურენტულად.პირველი შემთხვევაშ, ჩვენ მას ვუწოდებთ პირდაპირი გავრცელების ქსელს:, რადგან შემავალი სიგნალები შედის შემავალ შრეში; შემდეგ, დამუშავების შემდეგ, ისინი გადაეგზავნება მომდევნო შრეს, როგორც ნაჩვენებია სურათ 6-ზე.-ზე.რადიალური ბაზის ფუნქციები და მრავალშრიანი პერცეპტონი ასევე კარგი მაგალითებია ამ არქიტექტურაში.

უკუგავრცელების ქსელი: როდესაც ნეირონულ ქსელში არის გარკვეული სახის რეკურენტულობა, ეს ნიშნავს, რომ სიგნალები მიეწოდება უკან იმ ნეირონში ან შრეში,

რომელმაც უკვე მიიღო და დაამუშავა სიგნალი,ასეთი ქსელი არის უკუკავშირის ტიპის.:ქსელში რეკურენტულობის მიზანი არის დინამიური ქცევის გამოწვევა,განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქსელი წყვიტავს დროის სერიის ან ნიმუშის ამოცნობის პრობლემებს, რომლებიც საჭიროებს შიდა მეხსიერებას სწავლის პროცესის გაძლიერებისათვის თუმცა, ასეთი ქსელები განსაკუთრებით რთული დასატრენინგებელია, რადგან საბოლოო ჯამში სწავლებაში რეკურსიული ქცევა იქნება(მაგალითად, ნეირონი, რომლის გამოსავალიც მიეწოდება შემავალ შრეს), უმეტესობა უკუკავშირის ქსელებისა ერთ შრიანია, როგორიცაა ელმანისა და ჰოპფილდის ქსელები, მაგრამ შესაძლებელია მრავალშრიანი რეკურენტული ქსელის შექმნა , როგორიცაა მრავალშრიანი რეკურენტული პერცეპტონის ქსელები.



სურათი 8.უკუგავრცელების ქსელი

ნეირონული ქსელები სწავლობენ ნეირონებს შორის კავშირების დარეგულირების საშუალებით, კერძოდ, წონების ცვლილებით. როგორც ვთქვით, ნეირონის წონის ცვლილებით მისი გამოსავალი იცვლება,ანუ ნეირონულმა ქსელმა შეიძლება გააუმჯობესოს შედეგები სწავლების წესის მიხედვით წონების ცვლილებით.სქემა გამოსახულია შემდეგ სურათზე:



სურათი 9.ნეირონული ქსელის სწავლების პროცესი

სურათზე გამოსახულია დამკვირვებლიანი სწავლების პროცესი(supervised learning),რადგანაც ჩვენ გვაქვს სასურველი გამოსავალი,მაგრამ არსებობს სწავლება დამკვირვებლის გარეშეც(unsupervised learning).ამ თემას შემდეგ თავში შევეხები.

1.3 ნეირონული ქსელის იმპლემენტაცია

ამ თავში განვიხილავთ ნეირონული ქსელის იმპლემენტაციის დეტალებს.ამ ამოცანისათვის შერჩულია ერთერთი ყველაზე პოპულარული ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების ენა Java.ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებულია ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების პარადიგმები,როგორიცაა მემკვიდროება,ინკაფსულაცია,პოლიმორფიზმი,აბსტრაქცია და კლასი.როგორც ვიცით, ნეირონული ქსელი შედგება შრეებისგან, ნეირონებისგან, წონის, აქტივაციის ფუნქციების და ბიასისფან. არსებობს სამი სახის შრე: შემავალი, დაფარული და გამომავალი. თითოეული ფენის შეიძლება ჰქონდეს ერთი ან მეტი ნეირონი. თითოეული ნეირონი დაკავშირებულია ან სხვა ნეირონის შემევალზე ან გამოსავალზე და ეს კავშირები ცნობილია როგორც წონა.მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ნეირონულ ქსელს შეიძლება ჰქონდეს ბევრი ფარული შრე ან საერთოდ არცერთი.ნეირონების რაოდენობა თითოეულ შრეში შეიძლება განსხვავდებოდეს. თუმცა, შემავალ და გამომავალი შრეებს შესაბამისი რაოდენობის ნეირონი აქვთ ნეირონის შესავლების და გამოსავალების რაოდენობების შესაბამისად.

ასე რომ, დავიწყოთ იმპლემენტაცია თავდაპირველად, ჩვენ ვაპირებთ განვსაზღვროთ შემდეგი კლასები:

- **Neuron**: განსაზღვრავს ხელოვნუ ნეირონს
- **NeuralLayer**: აბსტრაქტული კლასი რომელიც განსაზღვრავს ნეირონთა შრეს
- **InputLayer**: განსაზღვრავს შემავალ შრეს
- **HiddenLayer**: განსაზღვრავს დაფარულ შრეს
- **OutputLayer**: განსაზღვრავს გამომავალ შრეს
- **InputNeuron**: განსაზღვრავს შემავალ ნეირონს
- **NeuralNet**: განსაზღვარვს ნეირონულ ქსელს.

გარდა ამ კლასებისა, ჩვენ ასევე უნდა განვსაზღვროთ IActivationFunction ინტერფეისი აქტივაციის ფუნქციისათვის. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ აქტივაციის ფუნქციები მოქმედებენ როგორც მეთოდები, მაგრამ ისინი საჭიროა როგორც ნეირონის თვისებები. ამიტომ, ჩვენ ვაპირებთ, განვსაზღვროთ კლასები აქტივაციის ფუნქციებისთვის,რომლების იმპლემენტაციას გაუკეთებენ ამ ინტერფეისს.

- Linear
- Sigmoid
- Step
- HyperTan

ამით ნეირონული ქსელი თითქმის დასრულებულია. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ კიდევ ორი კლასი. ერთი იქნება გამონაკლისი სიტუაციების დასამუშავებლად (NeuralException) და შემთხვევითი რიცხვების გენერატორი (RandomNumberGenerator).

ადგილის დასაზოგად აქ არ მოვყვები კოდის დეტალების განხილვას ,რადგან მიმაგრებულ პროექტში კოდი კარგად დაკომენტარებულია. ასევე შესაძლებელია javadoc-ის გაცნობაც.NeuralNetConsoleTest კლასში ვქმნით მარტივ ქსელს და მისი საშუალებით კონსოლზე ვბეჭდავთ ქსელის გამოსავალ მნიშვნელობებს.

თავი 2. ნეირონული ქსელის სწავლება

ამ თავში შევეხები ნეირონული ქსელების სწავლების ძირითად იდეებს და მათ იმპლემენტაციას.მართლაც საოცარია ნეირონული ქსელებს აქვთ უნარი ისწავლონ გარემოდან, ისევე როგორც მოაქროვნე არსებები. ჩვენ,ადამიანები ვწავლობთ დაკვირვებისა და გარემოების შედეგად სანამ რამე ქცევა არ თემა არ იქნება დასწავლილი. . ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანის ტვინში სწავლის პროცესი არის ნერვული კავშირების რეკონფიგურაცია ნეირონებს შორის , რაც ახალი აზროვნების სტრუქტურას აყალიბებს.განსხვავებით ჩვეულებრივი ციფრული კომპიუტერებისგან, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ ის ამოცანები, რომლებიც დაპროგრამებულია მათზე, ნეირონულ სისტემებს შეუძლიათ გააუმჯობესონ და განახორციელონ ახალი აქტივობები რაღაც საკმარისობის კრიტერიუმის მიხედით.სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ნეირონულ ქსელებს არ ჭირდებათ რომ იყვნენ დაპროგრამებული; ისინი თავად სწავლობენ პროგრამას.იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ ამოცანის შეიძლება ჰქონდეს დიდი რაოდენობით თეორიულად შესაძლებელი ამონახსნი, სწავლის პროცესი ცდილობს ოპტიმალური გადაწყვეტის პოვნას, რაც მოგვცემს დამაკმაყოფილებელი შედეგს. ხელოვნური ნერვული ქსელები (ANN) გამოყენება გამართლებულია რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ ნებისმიერი ტიპის ცოდნა, მხოლოდ შემავალი დატისა და საჭირო ინფორმაციის მიხედვით. თავდაპირველად , ANN აწარმოებს შემთხვევით შედეგს და მოგვცემს გარკვეულ შეცდომას, და ამ შეცდომაზე დაფუძნებით ANN პარამეტრები შეიცვლება ეს პროცესი გრძელდება იტერაციულად სანამ არ მიიღწევა შეცდომის დამაკმაყოფილებელი სიდიდე ამოცანიდან გამომდინარე.

2.1 ნეირონული ქსელის სწავლების პარადიგმები

არსებობს ძირითადად ორი ტიპის სწავლება ნეირონული ქსელებისთვის, კერძოდ, დამკვირვებლიანი და დამკვირვებლის გარეშე.მაგალითად, ადამიანის გონებაც , ასევე მუშაობს ამ გზით. ჩვენ შეგვიძლია შევიძინოთ ცოდნა დაკვირვების შედეგად ნებისმიერი მიზნის გარეშე (unsupervised) ან შეგვიძლია გვყავდეს მასწავლებელი, რომელიც გვიჩვენებს სწორ გზას. განსხვავება ამ ორ პარადიგმას შორის ძირითადად დამოკიდებულია სამიზნეზე და განსხვავებულია ამოცანებიდან გამომდინარე.

დამკვირვებლიანი სწავლა(Supervised learning)ეს სწავლების ტიპი ეხება წყვილების X- ს (დამოუკიდებელი მნიშვნელობები) და ys (დამოკიდებული მნიშვნელობები) და მიზანი არის მათი დამოკიდებულების შესწავლა. აქ Y მონაცემები არის დამკვირვებელი, სამიზნე სასურველი შედეგები, და X არის წყარო დამოუკიდებელი მონაცემებისა, რომლებიც ერთობლივად აგენერირებენ Y მონაცემებს.ეს ანალოგიურია მასწავლებელისა, რომელიც ასწავლის ვინმეს როგორ უნდა შესრულდეს კონკრეტული დავალება.



სურათი 10.დამკვირვებლიანი სწავლება

ამ სწავლების პარადიგმის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ არსებობს შეცდომის პირდაპირი განსაზღვრის შესაძლებლობა, რომელიც არის შედარება სამიზნე და მიმდინარე ფაქტობრივი შედეგისა. ქსელის პარამეტრები მიეწოდება ღირებულების ფუნქციას(cost function), რომელიც ითვლის აცდენას სასურველ და ფაქტობრივ შედეგებს შორის. ღირებულება ფუნქცია არის მხოლოდ საზომი რომელიც უნდა შემცირდეს ოპტიმიზაციის პრობლემაში. ეს ნიშნავს რომ ქსელის ამოცანაა იპოვოს ისეთი პარამეტრები, რომ ღირებულების ფუნქციამ ყველაზე დაბალი შესაძლო მნიშვნელობა მიიღოს. დამკვირვებლიანი სწავლება განკუთვნილია ისეთი ამოცანების გადასაჭრელად როდესაც გვაქვს ქცევა განსაზღვრული ნიმუშით. ზოგიერთი მაგალითები მოიცავს სურათების კლასიფიკაციას,საუბრუს ამოცნობას, ფუნქციის მიახლოებას და პროგნოზირება. გასათვალისწინებელია , რომ ნეირონული ქსელი უნდა შეიცავდეს ცოდნას ორივე შემავალი დამოუკიდებელი მნიშვნელობებისა (X) და გამომავალი დამოკიდებულi მნიშვნელობებისა (Y). დამოკიდებული გამომავალი მნიშვნელობის არსებობა არის აუცილებელი პირობა ასეთი სწავლების მიდგომის გამოყენებისას.

დამკვირვებლის გარეშე(unsupervised learning,) სწავლისას, ჩვენ მხოლოდ მონაცემები გაგვაჩნია ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციისა და კლასიფიკაციის გარეშე. ამის ნაცვლად, ჩვენ ვცდილობთ დასკვნა გავაკეთოთ და ამოვიღოთ საჭირო ცოდნა მხოლოდ დამოუკიდებელი მონაცემების გათვალისწინებით X:



სურათი 11.დამკვირვებლიანი სწავლება

ეს არის თვითსწავლების ანალოგი, როდესაც ვინმე საკუთარ გამოცდილებას და გარკვეულ კრიტერიუმებს ითვალისწინებს. არადამკვირვებლიანი სწავლისას, ჩვენ არ გვაქვს განსაზღვრული სასურველი შედეგი; თუმცა ნეირონულ ქსელს შეუძლია ამ მონაცემების საფუძველზე დამოკიდებული (Y) მონაცემების დადგენა ყოველგვარი დამკვირვებლის გარეშე.არადამკვირვებლიანი სწავლების მაგალითებია, დაკლასტერება, მონაცემთა შეკუმშვა,სტატისტიკური მოდელირება და სხვა.რადგანაც ამ ნაშრომში ძირითადად განვიხილავთ დამკვირვებლიან სწავლებას არადამკვირვებლიან სწავლებას ნაკლებად შევეხები.

2.2 ნეირონული ქსელის სწავლების პროცესი

ჯერჯერობით ჩვენ თეორიულად განვსაზღვრეთ სწავლების პროცესი და როგორ ხორციელდება იგი. მაგრამ პრაქტიკაში,ჩვენ უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ მათემატიკურ ლოგიკას რათა იმპლემენტაცია გავუკეთოთ სწავლების ალგორითმს. სწავლების ალგორითმი არის პროცედურა, რომელიც ახორციელებს ნეირონული ქსელების სწავლების პროცესს, და ეს მკაცრად არის

განსაზღვრული ნეირონული ქსელის არქიტექტურით. მათემატიკური თვალსაზრისით, ალგორითმი ცდილობს იპოვოს ოპტიმალური წონის W, რომელსაც შეუძლია მიიყვანოს ღირებულებათა ფუნქცია C (X, Y) ყველაზე დაბალი შესაძლო მნიშვნელობაზე.თუმცა, ხანდახან სწავლის პროცესი ვერ პოულობს კარგ წონებს,რომელიც სასურველ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, ამიტომ საჭიროა გაჩერების პირობა დადგინდეს, რომ თავიდან იქნას აცილებული ნეირონული ქსელის სამუდამოდ სწავლა ,რაც გამოიწვევს კომპიუტერის პარალიზებას.ზოგადად პროცესი მიდის შემდეგნაირად,როგორც შემდეგ სქემაზეა გამოსახული:



სურათი 12.სწავლების ალგორითმის სქემა

ახლა დეტალურად გავარკვიოთ, რა როლს ასრულებს ღირებულების ფუნქცია. მოდით წარმოვიდგინოთ ღირებულებათა ფუნქცია როგორც ორი ცვლადის ფუნქცია,რომელიც გვაძლევს ზედაპირს. სიმარტივისთვის, განვიხილოთ მხოლოდ ორი წონა (ორი განზომილებიანი სივრცე პლუს სიმაღლე წარმოადგენს ღირებულებათა ფუნქციას). დავუშვათ ჩვენს ღირებულების ფუნქციას აქვს შემდეგი ფორმა,როგორც სურათზეა:



სურათი 13.ღირებულების ფუნქცია

ვიზუალურად, ჩვენ ვხედავთ, რომ არსებობს ექსტრემუმი, რომლის მეშვეობითაც ღირებულების ფუნქცია უხეშად უახლოვდება ნულს. მაგრამ როგორ შეგვიძლია ამის გაკეთება პროგრამულად? პასუხი არის მათემატიკურ ოპტიმიზაციაში სადაც ღირებულებათა ფუნქცია განისაზღვრება, როგორც ოპტიმიზაციის პრობლემა:

$$\min_{X,Y,W \in R^N} C(X,Y,W)$$

როგორც ვიცით ფერმას თეორემის მიხედვით ექსტრემუმის არსებობისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ამ წერტილში კერძო წარმოებული უნდა იყოს ნულოვანი და ისინი უნდა იყვნენ კრებადი (მინიმალური შემთხვევაში). ვთქვათ თავიდან ვიწყებთ რაღაც W წონებით ვიწყებთ ძებნას იმ მიმართულებით სადაც ზედაპირის სიმაღლე მცირდება. ეს არის ე.წ. გრადიენტის მეთოდი

ღირებულების ფუნქციის მიხედვით,წონების განახლების წესი განსაზღვრავს თუ როგორ უნდა შეიცვალოს ქსელის პარამეტრები,ისინი შეიცვლება ისე რომ ღირებულებათა ფუნქცია ექნება უფრო დაბალი მნიშვნელობა:

$$W(k+1) = W(k) + \Delta W$$

აქ k ნიშნავს k-ურ იტერატიაც და W (k) ეხება ნეირონულ წონენს k-ურ იტერაციაზე.k + 1 მიუთითებს მომდევნო იტერაციას.წონის განახლების ოპერაცია შეიძლება შესრულდეს სათითაოდ ან ერთბაშად . სათითაო აქ გულისხმობს, რომ წონა განახლდება თითოეული ჩანაწერის შემდეგ. Batch განახლება ნიშნავს, რომ ჯერ ყველა ჩანაწერი მიეწოდება ქსელს ,სანამ იგი იწყებს წონების განახლებას. ეს საკითხი დეტალურად იქნება აღწერილი კოდში.როდესაც ნერვული ქსელი სწავლობს, იგი იღებს მონაცემებს გარემოსგან და წონებს ანახლებს შესაბამისად. ეს მონაცემები იწოდება როგორც სატრენინგო მონაცემთა ნაკრები და მას აქვს რამდენიმე ნიმუში. სიტყვა ტრენინგის უკან დგას ნეირონული წონების ადაპტირების პროცესი. როდესაც ნეირონული ქსელი სწავლობს, არსებობს ცდომილება სამიზნე შედეგსა (Y) და ნეირონულ შედეგებს შორის, ზედამხედველობასთან დაკავშირებით: დამკვირვებლიან სწავლებაში გვექნება:

$$e = Y - \hat{Y}$$

იმის გათვალისწინებით, რომ ტრენინგის მონაცემთა ნაკრებს აქვს მრავალი მნიშვნელობა, საბოლოოდ გვექმენა შეცდომების N მნიშვნელობა.

მაგრამ როგორ უნდა მივიღოთ საერთო შეცდომა? ერთი ინტუიციური მიდგომაა ავიღოთ საშუალო შეცდომა, მაგრამ ეს შეცდომაა. შეცდომის ვექტორმა შეიძლება მიიღოს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მნიშვნელობები.შესაძლებელია ავიღოთ შეცდომის აბსოლუტური მნიშვნელობა ,მაგრამ ეს მიდგომაც არაა კარგი რადგან ასეთი ფუნქცია არაა უწყვეტი 0 წერტილში და მისი წარმოებული არ არსებობს ამ წერტილში.ეს ნაჩვენების სურათზე:



სურათი 14.აბსოლუტური და კვადრატული ფუნქციები

ასე რომ, გონივრული ვარიანტი იქნება, რომ გამოვიყენოთ შეცდომის კვადრატული ჯამი, რომელსაც ეწოდება საშუალო კვადრატული შეცდომა(mean squared error) MSE:

$$MSE(Y,\hat{Y}) = \frac{1}{N}\sum_{i}^{N}(Y_i - \hat{Y}_i)^2$$

როდესაც ქსელს გვაქვს ბევრი გამომავალი გვექმენა შეცდომის მატრიცა:

$$E = \begin{pmatrix} (Y_{kj} - \hat{Y}_{kj}) & \dots & (Y_{kn} - \hat{Y}_{kn}) \\ \vdots & \ddots & \vdots \\ (Y_{Nj} - \hat{Y}_{Nj}) & \dots & (Y_{Nn} - \hat{Y}_{Nn}) \end{pmatrix}$$

შესაბამისად უფრო მოსახერხებელია დავითვალოთ საერთო შეცდომა,რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$e_k = \frac{1}{2}\sum_{j}^{n}(Y_{kj} - \hat{Y}_{kj})^2$$

შეიძლება ნეირონულმა ქსელმა სამუდამოდ ისწავლოს? როდის უნდაა შეჩერედეს ის?როდესაც დასწავლის პროცესი მიმდინარეობს, ნეირონული ქსელი უნდა გვაძლევდეს შედეგებს უფროდაუფრო ახლოს მოსალოდნელთან, სანამ საბოლოო ჯამში არ დაკმაყოფილდება კრიტერიუმი ან არ მიიღწევა იტერაციების მაქსიმალური რაოდენობა. სწავლის პროცესი დასრულებულად ითვლება მაშინ, როდესაც ამ ორი პირობიდან ერთერთი მაინც სრულდება.:

- **მიიღწევა საკმარისობის კრიტერიუმი**
- **მიიღწევა ეპოჩების(იტერაციების) მაქსიმალური რაოდენობა**

2.3 სწავლების ალგორითმის იმპლემენტაცია

ვიწყებთ დასწავლის ალგორითმის პროგრამულ რეალიზაციას.ამისთვის შევქმნათ აბსტრაქტული სუპერკლასი კლასი LearningAlgorithm learn პაკეტში,რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერ მსურველს იმპლემენტააცია გაუკეთოს სხვადასხვა ალგორითმებს.ასევე შექმნილი გვაქვს დამხმარე კლასები მონაცემებთან სამუშაოდ.ეს კლასები მოთავსებულია data პაკეტში. NeuralInputDat, NeuralOutputData კლასები,რომლებიც NeuralDataSet კლასის შვილები არიან.

LearningAlgorithm კლასს შემდეგი ატრიბუტები და მეთოდები გააჩნია:

```
public abstract class LearningAlgorithm {

protected NeuralNet neuralNet;

public enum LearningMode {ONLINE,BATCH};

protected enum LearningParadigm {SUPERVISED,UNSUPERVISED};


//…

protected int MaxEpochs=100;

protected int epoch=0;

protected double MinOverallError=0.001;
```

```
protected double LearningRate=0.1;

protected NeuralDataSet trainingDataSet;

protected NeuralDataSet testingDataSet;

protected NeuralDataSet validatingDataSet;

public boolean printTraining=false;

public abstract void train() throws NeuralException;

public abstract void forward() throws NeuralException;

public abstract void forward(int i) throws NeuralException;

public abstract Double calcNewWeight(int layer,int input,int neuron) throws


NeuralException;

public abstract Double calcNewWeight(int layer,int input,int neuron,double error) throws NeuralException;

//…

}
```

სრული კოდის სანახავად გთხოვთ ნახოთ პროექტის ფაილები.

2.2 ნეირონული ქსელის სწავლება დელტა წესით და მისი იმპლემენტაცია

ეს ალგორითმი ანახლებს წონებს ღირებულების ფუნქციის მიხედვით,რომელიც მიჰყვება გრადიენტის მეთოდს. ჩვენ გვინდა გავიგოთ, თუ რომელმა წონებმა შეიძლება წაიყვანონ ღირებულებათა ფუნქცია უფრო დაბალი მნიშვნელობისკენ. გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ღირებულებათა ფუნქციის თითოეული კერძო წარმოებულები წონების მიხედვით. უფრო მარტივად გასაგებად განვიხილოთ ერთი მარტივი მაგალითი მხოლოდ ერთი ნეირონით, ერთი წონით და ერთი ბიასით,და ასევე ერთი შემავალით. გამოსავალი იქნება შემდეგი:

$$\hat{Y} = g(X \cdot w + b)$$

აქ g არის აქტივაციის ფუნქცია, X არის ვექტორის შემცველი x მნიშვნელობებისა და Y არის გამომავალი ვექტორი გენერირებული ნეირონული ქსელის მიერ. ზოგადი შეცდომა k-ური მონაცემისა ასეთი იქნება:

$$E_k = y_k - \hat{y}_k$$

თუმცა, ამ შეცდომის განსაზღვრა შესაძლებელია კვადრატული შეცდომა: MSE. მაგრამ, სიმარტივისათვის, განვიხილოთ მარტივი შეცდომის განსხვავება. საერთო შეცდომა იქნება:

$$C(X, Y, \hat{Y}) = \frac{1}{N}\sum_{k}^{N} E_k^2$$

წონა და ბიასი დელტა წესის შესაბამისად განახლდება, რომელიც კერძო წარმოებულებს განიხილავს:

$$\partial C\frac{\left(X,Y,\hat{Y}\right)}{\partial w}\ and\ \partial C\frac{\left(X,Y,\hat{Y}\right)}{\partial b}$$

Batch სწავლების დროს , X და E ვექტორებია:

$$\Delta w = \alpha\frac{\partial C(X,Y,\hat{Y})}{\partial w} = \alpha E^T X g'(X\cdot w+b)^T$$

$$\Delta b = \alpha\frac{\partial C(X,Y,\hat{Y})}{\partial b} = \alpha E^T \begin{pmatrix}1\\ \vdots\end{pmatrix} g'(X\cdot w+b)^T$$

სათითაო სწავლების დროს , X და E ვექტორებია:

$$\Delta w = \alpha\frac{\partial C(X,Y,\hat{Y})}{\partial w} = \alpha E_k X_k g'(X_k\cdot w+b)$$

$$\Delta b = \alpha\frac{\partial C(X,Y,\hat{Y})}{\partial b} = \alpha E_k g'(X_k\cdot w+b)$$

შევნიშნოთ რომ წინა ტოლებებში α მიუთითებს სწავლის ფასს(learning rate). იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს წონის განახლებაში, ვინაიდან მას შეუძლია მიგვიყვანოს უფრო სწრაფად ან უფრო ნელა ღირებულებათა ფუნქციის მინუმუმზე. ეს ნაჩვენების შემდეგ ნახაზზე სადაც მხოლოდ ორი წონაა.



სურათი 15.learning rate სწავლების ფასი

სწავლების ფასი გვეუბნება წონების განახლებისას რა სიდიდის პროპორციულად უნდა შეიცვალონ წონების მნიშვნელობები.უხეშად რომ ვთქვათ, ეს არის ნაბიჯების სიგრძე ზედაპირზე სიარულისას.

ახლა შევუდგეთ მის იმპლემენტაციას. ჩვენ იმპლემენტაციას გავუკეთებდ დელტა წესს DeltaRule კლასში,რომელიც LearningAlgorithm კლასის მემკვიდრეა.სანამ კლასის განხილვაზე გასავალთ მანამდე საჭიროა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ცდომილების შესახებ. ნეირონულ ქსელს შეიძლება ჰქონდეს მრავალი გამოსავალი. ჩვენ უნდა გაუმკლავდეთ მრავალ გამომავალ შედეგს,ამ დროს ცდომილების ვექტორის ნაცვლად, ჩვენ ცდომილების მატრიცა გვექნება:

$$E = \begin{pmatrix} (Y_{kj} - \hat{Y}_{kj}) & \dots & (Y_{kn} - \hat{Y}_{kn}) \\ \vdots & \ddots & \vdots \\ (Y_{Nj} - \hat{Y}_{Nj}) & \dots & (Y_{Nn} - \hat{Y}_{Nn}) \end{pmatrix}$$

ასეთ შემთხვევებში შეიძლება დიდი რაოდენობის ცდომილებებთან მოგვიწიოს მუშაობა: ერთი კონკრეტული გამოსავალის ცდომილება, კონკრეტული ჩანაწერის, ან მთელი მონაცემთა ნაკრების. უფრო მარტივად რომ გავიგოთ , მოდით ვუწოდო თკონკრეტული ჩანაწერის ცდომილებას ზოგადი შეცდომა, რომლითაც ყველა გამომავალ ცდომილებას ექნება ერთი სკალარული მნიშვნელობა და ცდომილება რომელიც განსაზღვარვს მთელი მონაცემების შეცდომას საერთო შეცდომა.ზოგადი შეცდომა ერთ გამოსავალიანი ქსელისთვის იქნება მხოლოდ განსხვავება სამიზნესა და გამომავალს შორის, მაგრამ მრავალი გამომავალის შემთხვევაში, მასში უნდა იყოს თითოეული გამომავალის შეცდომა. როგორც ვნახეთ, კვადრატული ცდომილება კარგი საშუალებაა ამის დასათვლელად.ამიტომ ზოგად შეცდომას ექნება სახე:

$$e_k = \frac{1}{2}\sum_j^n (Y_{kj} - \hat{Y}_{kj})^2$$

რაც შეეხება საერთო შეცდომას.ის განიხილავს ზოგად ცდომილებას მთელი მონაცემთა ერთობისათვის.რადგან მონაცემი შეიძლება იყოს მრავალი უმჯობესია იგი დავითვალოთ,როგორც MSE ზოგადი ცდიმილებების კვადრატებისა. ზოგადი და საერთო ცდომილებები(general and overall errors) განხილულია DeltaRule- ის კლასში, რადგან დელტა წესის ალგორითმი განიხილავს ამ შეცდომებს სწავლებისას. ისინი მასივები არიან, რადგან იქნება ზოგადი შეცდომა თითოეული ჩანაწერისთვის და იქნება საერთო შეცდომა თითოეული გამომავალისათვის. ატრიბუტი overallGeneralError იღებს ღირებულებათა ფუნქციის მნიშვნელობას, ანუ საერთო შეცდომას ყველა გამოსავალისა და ჩანაწერისა. მატრიცა სახელად error , ინახავს შეცდომებს თითოეული გამომავალი ჩანაწერის კომბინაციისას.

```
public class DeltaRule extends LearningAlgorithm {

public ArrayList<ArrayList<Double>> error;

public ArrayList<Double> generalError;

public ArrayList<Double> overallError;

public double overallGeneralError;

public double degreeGeneralError=2.0;

public double degreeOverallError=0.0;

public enum ErrorMeasurement {SimpleError, SquareError,NDegreeError,MSE}

public ErrorMeasurement

generalErrorMeasurement=ErrorMeasurement.SquareError;

public ErrorMeasurement overallErrorMeasurement=ErrorMeasurement.MSE;

private int currentRecord=0;

private ArrayList<ArrayList<ArrayList<Double>>> newWeights;

//…
```

}

ეს კლასი ასევე რამდენიმე შესაძლებლობას იძლევა ზოგადი და საერთო ცდომილების გამოსათვლელად. ატრიბუტებმა generalErrorMeasurement და overallErrorMeasurement შეუძლიათ მიიღონ ერთერთი მნიშვნელობა მარტივი შეცდომა, კვადრატული შეცდომა, N-ური ხარისხის შეცდომა (კუბური, მეოთხე, და აშ),ან MSE..ნაგულისხმევი იქნება მარტივი შეცდომა ზოგადი შეცდომისათვის და MSE საერთოსათვის. აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი ატრიბუტი ამ კლასში: ესაა currentRecord რომელიც მიუთითებს მინდინარე ჩანაწერის ინდექსს,რომელიც მიეწოდება ნეირონულ ქსელს ტრენინგის დროს და newWeights კუბური მატრიცა სადაც არის ყველა ახალი წონების მნიშვნელობები. currentRecord ატრიბუტი სასარგებლოა ონლაინ ტრეინინგში, და newWeights მატრიცა ეხმარება ნეირონულ ქსელს შეინარჩუნოს ყველა მისი ორიგინალური წონები სანამ ახალები არ გამოანგარიშდება,ეს საშუალებას გვაძლევს ქსელის სისწრაფე იყოს ბევრად სწრაფი ვიდრე ყოველ ჯერზე წონების განახლება.ამ კლასში აღწერილია ძირითადი მეთოდები როგორიცაა: forward,train,calcNewWeights, რომლების შესაბამისად აკეთებენ ქსელისთვის მონაცემის მიწოდებას და მნიშვნელობების გამოთვლას,მეთოდეი შეიცავს ციკლს ,რომელიც ტრიალებს სანამ პირობა არ მიიღწევა ან მაქსიმალური იტერაციის რიცხვი არ მიიღწევა ან საეთო შეცდომა არ გახდება მისაღები,ეს მეთოდი ითვლის ახალ წონებს და იყენებს აქტივაციის ფუნქციის ინტერფეისში განსაზღვრულ derivative() მეთოდს რომელსაც იმპლემენტაციას უკეთებს თითოეული აქტივაციის ფუნქციის კლასი.ერთობლივი სწავლის დროს ვიყენებთ derivativeBatch(),რომელიც თითოეული სკალარის ნაცვლად აბრუნებს წარმოებულების მასივს. newWeights ში ვინახავთ ახალ წონებს,რათა გავლენა არ მოახდინოს მიმდინარე სწავლის პროცესზე და წონები განახლდება მხოლოდ იტერაციის დასრულების შემდეგ.დელტა წესის გარდა არსებობს რამდენიმე სწავლების ალგორითმი მაგალითად ჰებიანის და ადალაინის,მაგრამ მათ აქ არ შევეხებით და მსურველს შეუძლია ინფორმაცია მოიძიოს გამოყენებულ ლიტერატურაში.

მოდით განვიხილოთ ძალიან მარტივი საილუსტრაციო მაგალითი. დავუშვათ, რომ გვინდა ერთი ნეირონის ნეირონულ ქსელს ვასწავლოთ მარტივი წრფივი ფუნქცია:



ჩვენ ვაპირებთ ავაგოთ მონაცემები ამ ქსელისთვის შემდეგი კოდის საშუალებით, რომელიც შეგიძლიათ იპოვოთ NeuralNetDeltaRuleTest კლასის main მეთოდში :

```
Double[][] _neuralDataSet = {
{1.2 , fncTest(1.2)}
, {0.3 , fncTest(0.3)}
, {-0.5 , fncTest(-0.5)}
, {-2.3 , fncTest(-2.3)}
, {1.7 , fncTest(1.7)}
, {-0.1 , fncTest(-0.1)}
, {-2.7 , fncTest(-2.7)} };
int[] inputColumns = {0};
int[] outputColumns = {1};
NeuralDataSet neuralDataSet =
newNeuralDataSet(_neuralDataSet,inputColumns,outputColumns);
```

fncTest განსაზღვრულია შემდეგნაირად:

```
public static double fncTest(double x){
return 0.11*x;
}
```

აღსანიშნავია , რომ ჩვენ ვიყენებთ კლასს NeuralDataSet-მონაცემთა სწორად სტრუქტურირებისათვის. ახლა მოდით დავუკავშიროთ ამ მონაცემთა ნაკრებს ნეირონული ამ ქსელს აქვს ერთი ნეირონი გამომავალში. მოდით გამოვიყენოთ არაწრფივი აქტივაციის ფუნქცია როგორიცაა ჰიპერბოლური ტანგენსი კოეფიციენტით 0.85:

```
int numberOfInputs=1;
int numberOfOutputs=1;
HyperTan htAcFnc = new HyperTan(0.85);
NeuralNet nn = new NeuralNet(numberOfInputs,numberOfOutputs,
htAcFnc);
```

ახლა შევქმნათ DeltaRule ობიექტი და მასთან დავაკავშიროთ ნეირონული ქსელი. შემდეგ. ამის შემდეგ განვსაზღვროთ სწავლის პარამეტრები, როგორიცაა სწავლის ფასი, მინიმალური საერთო შეცდომა და მაქსიმალური რაოდენობა ეპოჩები:

```
DeltaRule deltaRule=new
DeltaRule(nn,neuralDataSet.LearningAlgorithm.LearningMode.ONLINE);
deltaRule.printTraining=true;
deltaRule.setLearningRate(0.3);
deltaRule.setMaxEpochs(1000);
deltaRule.setMinOverallError(0.00001);
```

ახლა მივიღოთ, დაუტრენინგებელი ნეირონული ქსელის პირველი ნეირონული შედეგი deltaRule ობიექტზე forward( ) მეთოდის გამოძახებით:

```
deltaRule.forward();
neuralDataSet.printNeuralOutput();
```

```
Getting the first output of the neural network
Neural:
Neural Output[0]={ 0.44224768996697406}
Neural Output[1]={ 0.19297592401999314}
Neural Output[2]={ -0.053052819745845956}
Neural Output[3]={ -0.5457392112113837}
Neural Output[4]={ 0.5582946870603158}
Neural Output[5]={ 0.07104196712543694}
Neural Output[6]={ -0.6270608140997245}
```

ავაგოთ მიღებული შედეგის გრაფიკი:



სურათი 16.forward მეთოდის გამოძახების შემდეგ

ჩვენ ვიწყებთ ქსელის სწავლებას ონლაინ რეჟიმში. ვასწავლით. ჩვენ ვაყენებთ printTraining ატრიბუტს trueზე, ასე რომ ჩვენ მივიღებთ ეკრანზე პროცესის მსვლელობას:

```
1.  System.out.println("Beginning training");
2.  deltaRule.train();
3.  System.out.println("End of training");
4.  if(deltaRule.getMinOverallError()>=deltaRule.getOverallGeneralError()){
5.  System.out.println("Training succesful!");
6.  }else{
7.  System.out.println("Training was unsuccesful");
8.  }
```

```
Beginning training
Epoch=0; Record=0; Overall Error=0.06586810467152877
Epoch=0; Record=1; Overall Error=0.0642007959986327
Epoch=0; Record=2; Overall Error=0.06427692265805388
Epoch=0; Record=3; Overall Error=0.06102840935680022
Epoch=0; Record=4; Overall Error=0.04880202611839414
Epoch=0; Record=5; Overall Error=0.04823124833461199
Epoch=0; Record=6; Overall Error=0.03388528328163059
Epoch=1; Record=0; Overall Error=0.021528920861072397
```

სწავლება იწყება და ცდომილების შესახებ ინფორმაცია გამოდის ყოველი იტერაციის შემდეგ.შევნიშნოთ რომ ცდომილება თანდათან მცირდება:

```
Epoch=4; Record=4; Overall Error=1.8051182588340976E-5
Epoch=4; Record=5; Overall Error=1.6070522271176285E-5
Epoch=4; Record=6; Overall Error=1.3418163790928809E-5
Epoch=5; Record=0; Overall Error=8.344050623786828E-6
End of training
Training succesful!
Overall Error:8.344050623786828E-6
Min Overall Error:1.0E-5
Epochs of training:5
```

5 იტარაციის შემდეგ ცდომილება დადის ჩვენთვის მისაღებ დონეზე.შემდეგ სურათებზე მოცემულია ქსელის შედეგი და მისი შესაბამისი გრაფიკი:



როგორც ვხედავთ ქსელმა წარმატებით ისწავლა! მოდით ვნახოთ წონისა და ბიასის მნიშვნელობა:

```
1.  weight = nn.getOutputLayer().getWeight(0, 0);
2.  bias = nn.getOutputLayer().getWeight(1, 0);
3.  System.out.println("Weight found:"+String.valueOf(weight));
4.  System.out.println("Bias found:"+String.valueOf(bias));
5.  //Weight found:0.2668421011698528
6.  //Bias found:0.0011258204676042108
```

2.3 ნეირონული ქსელის ტესტირება სწავლების შემდეგ

შედეგის მიღებასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ტესტირება.როგორ შეიძლება გავზომოთ რამდენად ეფექტურია ჩვენი ქსელი. ისევე, როგორც გამოცდების დროს სტუდენტებს, ჩვენ უნდა შეამოწმოთ ქსელის პასუხები.სწავლების შემდეგ,მაგრამ სავარაუდოდ, მასწავლებელი არ ჩაუტარებს გამოცდას იგივე კითხვებში რაც უკვე წარადგინა კლასში.არ არსებობს აზრი ვინმეს სწავლის შეფასებისას იმავე მაგალითებით რაც უკვე ცნობილია მოსაწავლისათვის, შესაძლოა მოსწავლეს დაზეპირებული ჰქონდეს მასალა მისის სწავლის ნაცვლად.

ახლა ავხსნათ ეს ნაწილი. ნეირონული ქსელის სწავლის შემდეგ უნდა შევამოწმოთ ნამდვილად ისწავლა თუ არა მან. ტესტირებისთვის ქსელს უნდა მივაწოდოთ განსხვავებული მონაცემები იგივე გარემოდან. ეს აუცილებელია, რადგან, როგორც მოსწავლე, ნეირონულმა ქსელმაც შეიძლება უპასუხოს სწორად მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც მან ისწავლა; ამ მოვლენას უწოდებენ overtraining ჭარბი სწავლება.იმისათვის რომ გადავამოწმოთ სწორად ისწავლა თუ არა ქსელმა, ჩვენ მას უნდა მივცეთ განსხვავებული მონაცემები.

შემდეგი სურათი ასახავს ზედმეტი ტრენინგის პრობლემას. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი ქსელი განკუთვნილია რაღაც ფუნქციის f (x), მისაახლოებლად რომლის განსაზღვრებაც უცნობია. ნეირონულმა ქსელმა მიიღო რაღაც მონაცემები ამ ფუნქციისაგან და მოგვცა შედეგი მარცხნივ არსებულ ნახაზზე. მაგრამ როდესაც გავაფართოებთ განსაზღრის არეს, მაგალითად, ტესტირების მონაცემთა ნაკრებს დავამატებთ , ჩვენ დავინახავთ, რომ ქსელის პასუხი არ მიყვება მარჯვნივ გამოსახულ ფუნქციას:



სურათი 17.overtraining

ამ შემთხვევაში, ჩვენ ვხედავთ, რომ ნეირონულმა ქსელმა ვერ ისწავლა მთელი გარემო (ფუნქცია f (x)).ეს ხდება რიგი მიზეზების გამო:

- **ნეირონულ ქსელს გარემოსგან საკმარისი ინფორმაცია არ მიუღია**
- **მონაცემები გარემოდან არის არადეტერმინისტული**
- **.ტრეინინგისა და ტესტირების მონაცემები ცუდად არის განსაზღვრული.**
- **ნეირონულმა ქსელმა იმდენად ისწავლა სატრენინგო მონაცემები ,რომ "დაავიწყდა" ტესტირების მონაცემები**

Overfitting and overtraining:

ჩვენს წინა მაგალითში, ნეირონულმა ქსელმა საკმაოდ კარგად ისწავლა. თუმცა, არსებობს overfitting და overtraining-ის რისკი. განსხვავება ამ ორ კონცეფციას შორის საკმაოდ დახვეწილია. overfitting ხდება, როდესაც ნეირონული ქსელი სწავლობს პრობლემის ქცევას ისე ,რომ მას შეუძლია მოგვცეს კარგი შედეგები მხოლოდ სატრენინგო წერტილებზე, რის შედეგადაც ის განზოგადების უნარს კარგავს. Overtraining, რომელიც შეიძლება იყოს მიზეზი overfitting-სა, ხდება, როდესაც ტრენინგის შეცდომა ხდება ბევრად უფრო მცირე, ვიდრე ტესტირების ცდომილება, ან როდესაც ტესტირების შეცდომა იწყებას გაზრდას როდესაც ქსელი განაგრძობს სწავლას.



სურათი 18.Overfitting and overtraining

ერთერთი გზა, რათა თავიდან იქნას აცილებული overtraining და overfitting არის ტესტირების შეცდომის შემოწმება, როდესაც ტრენინგის პროცესი მიმდინარეობს. როდესაც ტესტირების შეცდომა იწყება გაზრდას, დროა შევჩრდეთ.მოდი ვნახოთ, თუ არსებობს ეს მოვლენები ჩვენს მაგალითში. დავამატოთ მეტი მონაცემები და გავტესტოთ:

```
1.  Double[][] _testDataSet ={
2.  {-1.7 , fncTest(-1.7) }
3.  , {-1.0 , fncTest(-1.0) }
4.  , {0.0 , fncTest(0.0) }
5.  , {0.8 , fncTest(0.8) }
6.  , {2.0 , fncTest(2.0) }
7.  };
8.  NeuralDataSet testDataSet = new NeuralDataSet(_testDataSet, ....inputColumns,
9.  outputColumns);
10. deltaRule.setTestingDataSet(testDataSet);
11. deltaRule.test();
12. testDataSet.printNeuralOutput();
```



როგორც გრაფიკიდან ჩანს, ნეირონულმა ქსელმა კარგად შეძლო განზოგადება განზოგადებას. მიუხედავად ამ მაგალითის სიმარტივისა, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ნეირონული ქსელის დასწავლის უნარი.

თავი 3. პერცეპტონები და დამკვირვებლიანი სწავლება

ამ თავში, ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავთ დამკვირვებლიან სწავლებას, რაც ძალიან სასარგებლოა ორ მონაცემთა სიმრავლეს შორის ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად. გარდა ამისა, ჩვენ წარმოვადგენთ პერცეპტონს, ძალიან პოპულარულ ნეირონული ქსელის არქიტექტურას, დამკვირვებლიან სწავლებაში. ამ თავში ასევე წარმოდგენილია მათი გაფართოებული და განზოგადებული ვერსია, ე.წ. მრავალშრიანი პერცეპრონი და მათი ალგორითმი და პარამეტრები.ასევე ვაჩვენებთ მის პროგრამულ რეალიზაციას და განვიხილავთ მაგალითს როგორ შეიძლება მისი მეშვეობით პრობლემების გადაჭრა.

3.1 დამკვირვებლიანი სწავლა(Supervised learning)

წინა თავში ჩვენ შევისწავლეთ სწავლების პარადიგმები, რომლებიც ეხება ნეირონულ ქსელებს, სადაც დამკვირვებლიანი სწავლება გულისხმობს, რომ არსებობს მიზანი . პრაქტიკაში ჩვენ წარმოვადგენთ შეყვანის მონაცემებს X და სასურველი გამომავალი მონაცემებს YT, მაშინ ჩვენ ვაფასებთ ღირებულებათა ფუნქციას, რომლის მიზანია შემცირდეს შეცდომა შორის ქსელის გამომავალ Y და სამიზნე გამომავალ YT მნიშვნელობებს შორის.დამკვირვებლიან სწავლაში არსებობს ორი ძირითადი კატეგორიის ამოცანა: **კლასიფიკაცია და რეგრესია.**

კლასიფიკაცია - შესაბამისი კლასის პოვნა

ნეირონული ქსელები ასევე მუშაობენ კატეგორიული მონაცემებით. კლასების და მონაცემთა ნაკრების სიის გათვალისწინებით,ჩვენ გვსურს დავაკლასიფიციროთ ისინი ისტორიული მონაცემების მიხედვით, რომლებიც შეიცავს ჩანაწერებს და მათ შესაბამის კლასს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ამ მონაცემთა ნაკრების მაგალითს, მოცემულია საგნების საშუალო ქულები 0-დან 10-მდე:

სტუდენტის Id	საგნები								პროფესია
	English	**Math**	**Physics**	**Chemistry**	**Geography**	**History**	**Literature**	**Biology**	
89543	7.82	8.82	8.35	7.45	6.55	6.39	5.90	7.03	**Electrical Engineer**
